



17.11.2017

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მეორე სამუშაო ჯგუფის
სხდომის ოქმი №1

1. მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

სახელი, გვარი	ორგანიზაცია
დimitრი გვრიტიშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ზაზა ხარეზავა	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ირაკლი ბონდარენკო	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
შოთა ქადაგიძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ვალერიან გავაშელი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თორნიკე გეწამე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თინა ვაშაყმაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნინო გიორგაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნათია ზურაბაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
კოტე ჭილაია	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ლია მჭედლიშვილი	საქართველოს უზენაესი სასამართლო
ხათუნა ჩარკვიანი	საქართველოს უზენაესი სასამართლო
მარიამ ხოფერია	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ქეთი ბასილაშვილი	თბილისის საქალაქო სასამართლო
ნინო დემურხანაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიითა და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების სისტემატიზაცია (დალაგება) პრიორიტეტულობის მიხედვით;
- პრიორიტეტულად განსაზღვრული აქტივობების მიხედვით სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების (დავალებების) განაწილება;
- აქტივობების შესრულების სამომავლო გეგმებზე შეთანხმება.

3. მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა

2017 წლის 17 ნოემბერს მეორე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 11 წევრი: დიმიტრი გვრიტიშვილი, ზაზა ხარებავა, ირაკლი ბონდარენკო, ვალერიან გავაშელი, თორნიკე გეწაძე, ნინო გიორგაძე, ქეთი ბასილაშვილი, ხათუნა ჩარკვიანი, ლია მჭედლიშვილი, მარიამ ხოფერია, ნათია ზურაბაშვილი. კვორუმი შედგა, კენჭისყრის შედეგად ჯგუფის დამსწრე წევრთა სრული უმრავლესობით მეორე სამუშაო ჯგუფის სხდომას შემოუერთდნენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანამშრომლები: საბჭოს წევრი ბატონი შოთა ქადაგიძე და საბჭოს წევრის რეფერენტი ბატონი კოტე ჭილაია, ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-ს წარმომადგენლებს კი უარი ეთქვათ სხდომაში მონაწილეობის მიღებაზე (კენჭისყრას არ ესწრებოდა ქალბატონი ხათუნა ჩარკვიანი). ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს და ინფორმაცია მიაწოდეს ერთმანეთს 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიითა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ, დააღაგეს იგი პრიორიტეტულობის მიხედვით, გადაინაწილეს ფუნქციები და შეთანხმდნენ აქტივობების შესრულების სამომავლო გეგმებზე.

4. მეორე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე

მეორე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე ჯგუფის წევრებმა პრიორიტეტულად მიიჩნიეს 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობები: ეთიკის მოქმედი წესებისა და პრაქტიკის ანალიზი¹, წლის მანძილზე საჩივრების, დისციპლინური გადაცდომების განმაზოგადებელი (სტატისტიკური) ანგარიშის წარმოების პრაქტიკის გაუმჯობესება², კორუფციის აღქმისა და რისკების შეფასების ანალიზი საერთო სასამართლოების სისტემაში³, კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და სასამართლო მოხელეებისთვის არსებული კომუნიკაციის სტანდარტის გადახედვა, ამოქმედება⁴.

ჯგუფის წევრებმა კონკრეტული აქტივობებიდან გამომდინარე გადაინაწილეს ფუნქციები (დავალებები) და შეთანხმდნენ, რომ სამომავლოდ სტატისტიკის ერთგვაროვანი წარმოების მეთოდოლოგიის შესახებ⁵ გაკეთდება მოკლე მოხსენება ლია მჭედლიშვილის მიერ, ეთიკის

¹ პროგრამა 2.1.2-ის პირველი აქტივობა.

² პროგრამა 2.2.1-ის პირველი აქტივობა.

³ პროგრამა 2.2.2-ის მეორე აქტივობა.

⁴ პროგრამა 2.4.2-ის პირველი და მეორე აქტივობები.

⁵ პროგრამა 2.4.1-ის პირველი აქტივობა.





მოქმედ წესებსა და პრაქტიკის ანალიზზე⁶ პრეზენტაციის წარმოდგენენ დიმიტრი გვრიტიშვილი, ვალერიან გავაშელი და თინა ვაშაყმაძე, სასამართლო მოხელეებისთვის არსებული კომუნიკაციის სტანდარტებს⁷ გადახედავენ და მოხსენებას გააკეთებენ ვალერიან გავაშელი და ქეთი ბასილაშვილი, მოსამართლეთათვის კონფიდენციალური კონსულტაციის მექანიზმის შექმნის და დანერგვის თაობაზე⁸ მოამზადებს ფართო კვლევას თორნიკე გეწამე.

ამასთან, ჯგუფის წევრთა მოსაზრებით საჭიროა პროგრამა 2.4.3 აქტივობების ნომერაციის რიგითობის შეცვლა.

5. თანდართული დოკუმენტები

- მეორე სამუშაო ჯგუფის 2017 წლის 17 ნოემბრის შეხვედრის დღის წესრიგი.

თანამომხსენებლები:  დიმიტრი გვრიტიშვილი
 ზაზა ხარეზავა

სხდომის მდივანი:  ნინო დემურხანაშვილი

⁶ პროგრამა 2.4.2-ის პირველი აქტივობა.
⁷ პროგრამა 2.4.2-ის მეორე აქტივობა.
⁸ პროგრამა 2.2.1-ის მეოთხე აქტივობა.

II სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დღის წესრიგი

შეხვედრის ადგილი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

თარიღი: 17 ნოემბერი, 2017

დრო: 16:00 საათი

განსახილველი საკითხები:

I. 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების სისტემატიზაცია (დალაგება) პრიორიტეტულობის მიხედვით;

II. პრიორიტეტულად განსაზღვრული აქტივობების მიხედვით სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების (დავალებების) განაწილება;

III. აქტივობების შესრულების სამომავლო გეგმებზე შეთანხმება.